პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

17 ივნისი. სამშაბათი, 1986 წ.
№ 117 (9208) ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



14 ივნისს თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონზე გაიმართა საბჭოთა კავშირის თასის 46-ე გათამაშების მეოთხედფინალური მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „დინამო" და დონის როსტოვის „როსტსელმაში". თბილისელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 2:0 და მერვედფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს. ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა ალექსანდრე კოტორაშვილმა ფირზე სწორედ ის მომენტი აღბეჭდა, როცა ვალერი გაზაევმა მეორედ აიღო როსტოველთა კარი.

იხ. მე-3 გვ.

თბილისელმა მედიცინის ათასამდე მუშაკმა გაიარა „ლელოს" ტურისტული მარშრუტი—ბაგები—კუს ტბა—მთაწმინდის პლატო

# წამლები ზედმეტი ბარგი აღმოჩნდა

შაბათს, დილით, კუს ტბისკენ მიმავალი გზის დასაწყისთან უამრავი ხალხი შეიკრიბა, თბილისელ მედიკოსებს ტურისტულ ლაშქრობაში მონაწილეობის მისაღებად მოეყარათ თავი. მარშრუტი ასეთი იყო: ბაგები — კუს ტბა — მთაწმინდა. ამდენ ექიმს ერთად არა თუ ტურისტულ ბილიკზე, მედიკოსთა თავყრილობაზეც კი ვერ ნახავდით. ბევრი მათგანი ოჯახის წევრებთან ერთად მოსულიყო და პირველად მიდიოდა ტურისტულ ლაშქრობაში. ზოგს წამლები წამოეღო თან — იქნებ ვინმე ცუდად გახდეს და სამედიცინო დახმარება დასჭირდესო. ბოლოს ეს ამოდენა ლაშქარი თვალუწვდენელ სიგრძეზე გაიბაწრა და აღმართს შეუყვა. როცა კუს ტბა უკან მოვიტოვეთ, გზად შეჩერება და ინტერვიუს აღება გადავწყვიტეთ. გვაინტერესებდა მედიკოსთა აზრი ლაშქრობის შესახებ. თუმცა, შეკითხვების მიცემა არც დაგვჭირვებია. უჩვეულოდ გამოცოცხლებულები ხალისიანად ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს. ჩვენც ისღა დაგვრჩენოდა, მათი საუბარი უბის წიგნაკში ჩაგვეწერა.

—ტურისტულ ლაშქრობებში ზოგჯერ მეგობრებთან ერთად დავდივარ, მაგრამ თანამშრომლებთან ერთად პირველად დავადექი გზას. სამწუხაროდ, თანამშრომლები მხოლოდ სამსახურში ან წვეულებაზე ვიყრით ხოლმე თავს. არადა, ჩემი აზრით, ასეთი ტურისტული ლაშქრობები უფრო დაგვაახლოვებს ერთმანეთთან.

— ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, სუფთა ჰაერზე გამოვედით, ფეხი გავშალეთ, თითქოს გავახალგაზრდავდი, კარგ გუნებაზეც დავდექი. ექიმები სხვებს ვარიგებთ სიარული გარგებსო, თავად კი პურის საყიდლადაც მანქანებით დავქრივართ.

— კარგი დღეა, ჩემი კოლეგები ასე ერთად კარგა ხანია არ მინახავს, ბევრიც გავიცანი. საინტერესო საუბარიც მოვასწარი მათთან.

— ხომ არის „ფეხბურთის დღე", „ცურვის დღე"... ტურიზმმა რაღა დააშავა, ავდგეთ და ერთი დღე ქვეითი ტურიზმის დღედ გამოვაცხადოთ.

— კი ბატონო, მაგრამ ერთი დღე არ იკმარებს, ბუნების წიაღში ყოველ შაბათ-კვირას უნდა გავიდეთ.

მოლაშქრენი გზადაგზა მინდვრის ყვავილებს კრეფდნენ. იმ ყვავილებით მთაწმინდის პანთეონში ჩვენი სახელოვანი მამულიშვილების საფლავები შეამკეს. მინდვრის ყვავილებმა გაალამაზეს მთაწმინდის პანთეონი.

როგორც ვთქვით, ბევრი ოჯახის წევრებთან ერთად დაადგა ტუ-

იხ. მე.2 გვ.







ამბობენ, ფოტოგრაფია უაღრესად დოკუმენტურიაო, მაგრამ ჩვენი ფოტოკორესპონდენტის დავით კურტანიძის ფართოკუთხიანმა ობიექტივმაც კი კადრში ვერ მოაქცია ყველა, ვინც ამ ტურისტულ ლაშქრობაში გამოვიდა. პირველი სურათი სტარტის ადგილზეა გადაღებული, მეორე — კუს ტბის ზემოთ, ხოლო მესამე — ფინიშზე, მთაწმინდის პანთეონში, სადაც ლაშქრობის ნორჩი მონაწილეები მინდვრის ყვავილებით ამკობენ ვაჟა-ფშაველას საფლავს.

## ვახტანგ იაგორაშვილი კვლავ პირველი იყო

გუშინ ბულგარეთიდან თბილისში დაბრუნდა საქართველოს თანამედროვე ხუთჭიდელთა გუნდი, რომელიც სსრ კავშირის ნაკრები კოლექტივის სახელით ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში გამოდიოდა. პირველობისათვის ევროპის 10 სახელმწიფოს 13 გუნდი იბრძოდა. ჩვენმა ხუთჭიდელებმა მესამე საპრიზო ადგილი დაიკავეს. პირად შეჯიბრებაში უძლიერესი იყო თბილისის არმიის სპორტული კლუბის წარმომადგენელი მსოფლიო ჩემპიონი ჭაბუკთა შორის **ვახტანგ იაგორაშვილი.** იაგორაშვილის გარდა გუნდში შედიოდნენ **იგორ ბრიზგალოვი** („დინამო") და **რევაზ ლოხიშვილი** („ბურევესტნიკი").

## ნინო გურიელის ახალი გამარჯვება

ბულგარეთის ქალაქ პლოვდივში დამთავრდა მოჭადრაკე ქალთა საერთაშორისო ტურნირი.

I-II ადგილები გაიყვეს საერთაშორისო დიდოსტატმა ნინო გურიელმა (თბილისი) და საერთაშორისო ოსტატმა პავლინა ანგელოვამ (ბულგარეთი) — 8-8 ქულა. 7 ქულით III ადგილზეა საერთაშორისო ოსტატი გულნარა სახატოვა (ალმა-ათა).

## ჩაის პლანტაციაში... ჩერნობილელთა დასახმარებლად

ზუგდიდში ჩატარდა საქართველოს IX სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები ცხენოსნობის ეროვნულ და კლასიკურ სახეობებში. ასპარეზობის ორგანიზატორებმა, მონაწილეებმა, მსაჯებმა, ერთხმად გადაწყვიტეს, თავიანთი წილი შეეტანათ ჩერნობილის დახმარების ფონდში. დასვენების დღეს ისინი ზუგდიდის ჩაის პლანტაციებს ეწვივნენ, მოკრიფეს ერთი ტონა უმაღლესი ხარისხის ფოთოლი, და გამომუშავებული თანხა — 840 მანეთი ჩერნობილის ფონდში გადარიცხეს.




## ციტატა

ჟურნალის მე-5 ნომერში რუბრიკაში „სტოპ-ფაქტი" დაბეჭდილია მასალა „ჰოკით ხტომა... სიგრძეზე":

„სპორტის ეს უძველესი სახეობა აღორძინებულია ამიერკავკასიაში მაღალმთიან სოფელ ნენიაში (აჭარის ასსრ). ამ მხარეში ჰოკი იმთავითვე გამოიყენებოდა მდინარეებისა და ნაპრალების „გადაბიჯებაში". ადგილობრივი მაცხოვრებლები იმდენად დახელოვნდნენ მის ხმარებაში, რომ ზედ ევლებოდნენ 15-მეტრიან წინაღობას. ახლა აქ ემზადებიან აჭარის ჩემპიონატისათვის სპორტის ეროვნულ სახეობებში. ნენიას ფიზკულტურელები ცხენოსნობაშიც გამოვლენ. აქ ხომ ძალზე პოპულარულია ცხენბურთი — პატარა ბურთის თამაში ჩოგნით-და ისინდი — შუბის ტყორცნა მიზანში „ცხენდაცხენ".

## XIII მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში

15.VI. მეხიკო. მექსიკა — ბულგარეთი 2:0

15.VI. ლეონი. სსრ კავშირი — ბელგია 3:4

დღეს მეოთხედფინალში თამაშობენ:

MEXICO86 იტალია — საფრანგეთი მაროკო — გფრ



ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს IX სპარტაკიადა ველოსპორტში

# უძლიერესთა გარეშე

**საქართველოს** IX სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება ველოსპორტში (ტრეკი) რესპუბლიკის წამყვან სპორტსმენთა გარეშე ჩატარდა, რამაც შედეგებზე, რა თქმა უნდა, გავლენა იქონია. სასპარტაკიადო სტარტებში მონაწილეობა ვერ მიიღეს: ოთარ მჭედლიშვილმა (იგი საფრანგეთსა და დანიაში მიემგზავრება), გოჩა ბეჟაშვილმა (საბჭოთა კავშირის იუნიორთა ნაკრების წევრი სოციალისტური ქვეყნების ტრადიციულ შეჯიბრებაში მიიღებს მონაწილეობას), გენადი გოდუნოვმა, თემურ გიგოლაევმა, კობა აბაიშვილმა, ავთანდილ მიკუჩაძემ და კიდევ 16-მა ველოსიპედისტმა (ისინი საკავშირო მრავალდღიანი ველორბოლისთვის ემზადებიან). ცხადია, მათი გამოსვლა სასპარტაკიადო ტურნირს მეტ ლაზათს შესძენდა.

და მაინც, ზოგიერთ სახეობაში (მხედველობაში გვაქვს ვაჟთა შეჯიბრება) ველოსიპედისტებმა არცისე ურიგო შედეგები აჩვენეს. ზუგდიდელმა პაატა ხუბულავამ, მაგალითად ორი დისციპლინა მოიგო (გიტი 200 მეტრზე სვლით და სპრინტი) და 200 მეტრიან დისტანციაზე 10,96 აჩვენა. ეს შედეგი ცოტათი ჩამორჩება საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის მაჩვენებელს, რომელიც 10,9 უდრის.

ოსტატობის ნორმატივს გადააჭარბა თერჯოლელმა გია მუმლაძემ. 1000 მეტრზე გიტში (ადგილიდან) მისი შედეგია 1.08, 60 (ოსტატის ნორმაა 1.08,8).

სპარტაკიადის ჩემპიონები გახდნენ, აგრეთვე, თბილისელი ნიკოლოზ ბიჩკოვი (4 კმ. გამოდევნებით ინდივიდუალური რბოლა — 5.07,00), მისი თანაგუნდელი ვიაჩესლავ ქარუმიძე (ჯგუფური რბოლა 100 წრეზე 20 საშუალედო ფინიშით — 42 ქულა) და თბილისის გუნდი აკაკი გეგენავას, ვიაჩესლავ ქარუმიძის, პაატა აბრამიშვილისა და ნიკოლოზ ბიჩკოვის შემადგენლობით (4 კილომეტრზე გუნდურ რბოლაში — 4.44,50).

ტრადიციულად სუსტად გამოვიდნენ ქალები, რომელთაგან პირველი თანრიგის ნორმატივიც კი ვერავინ შეასრულა. ცხადია, მათ თავიანთი კოლექტივებისათვის ჩასათვლელი ქულები არ მიუციათ.

200 მეტრზე გიტი (სვლით) და სპრინტი რუსთავის გუნდის წევრმა ოლგა მრიანმა მოიგო. 200 მეტრიან დისტანციაზე მან 14,05 აჩვენა. გამოდევნებით ინდივიდუალურ რბოლაში 3 კილომეტრზე სპარტაკიადის ჩემპიონის სახელი ქუთაისელმა ლეილა მუშკუდიანმა მოიპოვა — 4.39,00.

საქართველოს სპარტაკიადის გუნდურ ჩათვლაში ადგილები ასე განაწილდა: 1. თბილისი — 304,5 ქულა; 2. თერჯოლა — 151,5; 3. რუსთავი — 104; 4. ზუგდიდი — 78; 5. ქუთაისი — 72; 6. აფხაზეთი — 28; 7. ლაგოდეხი — 18.

**ანზორ ჭიჭინაძე,**
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

საქართველოს მოსწავლეთა XXXIV სპარტაკიადა

# იმარჯვეს თბილისელმა მოზარდებმა

**საქართველოს** მოსწვლეთა XXXIV სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულმა მოკრივეთა ტურნირმა დიდი ინტერესი გამოიწვია ქუთაისელ გულშემატკივართა შორის. შეჯიბრებაში, რომელიც განათლების განყოფილების სპორტული სკოლის დარბაზში მოეწყო, რვა ქალაქის 111 წარმომადგენელი მონაწილეობდა. პირველობას ერთგვარი ხიბლი შემატა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა დავით კვაჭაძემ, რომელიც ტურნირის მსაჯთა კორპუსს ხელმძღვანელობდა.

ალმოჩნდა, რომ შეჯიბრებებისთვის ყველაზე კარგად თბილისელი მოკრივეები მომზადებულან — პირველი ადგილი მათ დარჩათ. დანარჩენი ადგილები ასეთი თანმიმდევრობით განაწილდა: ქუთაისი, აფხაზეთი, ფოთი, ჭიათურა, ცხაკაია, ტყიბული, გორი.

პირად შეჯიბრებაში წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს გენა ლუკიანოვმა (44 კგ; თბილისი), პაატა გიგინეიშვილმა (46; ფოთი), კარენ ესაიანმა (48; აფხაზეთი), გოჩა აბრამიძემ (50; ფოთი), გევორქ კაპსუზიანმა (52; აფხაზეთი), სოსო გარიშვილმა (54; თბილისი), მირზა ხურციძემ (57; ქუთაისი), კამო ავეტისოვმა (60; ჭიათურა), ალბერტ ოჩიგავამ (63; ფოთი), დავით კაპანაძემ (66; ჭიათურა), კობა ჩალაძემ (70; ქუთაისი), თამაზ ბუაძემ (74; ჭიათურა), ბაქარ გაგოშიძემ (79; ქუთაისი), ირაკლი ჩოქურმა (85; თბილისი), ლევან შარიქაძემ (85; ქუთაისი).

# წამლები ზედმეტი ბარგი აღმოჩნდა

(დასასრული)

რისტულ ბილიკს. ზოგი მათგანი ბავშვებთან და შვილიშვილებთან ერთად წამოვიდა. ბევრი ფიქრობდა, რომ პატარები, მათი ბებიები და ბაბუები სიარულს ვერ შეძლებდნენ, მაგრამ მოტყუვდნენ. კუს ტბაზე საჯაროდ გამოვაცხადეთ, რომ ვისაც მარშრუტის გაგრძელების სურვილი აღარ ჰქონდა, უკან დაბრუნებულიყვნენ. არავითარ შემთხვევაშიო — იყო პასუხი. სხვებს არც ახალგაზრდა დედები ჩამორჩნენ. ატატებული ბავშვებით გაიარეს მთელი გზა. ერთ-ერთ მათგანს, პირველი საავადმყოფოს ენდოკრინოლოგიური განყოფილების თანამშრომელ ციცინო კირაკოზაშვილს, რომელსაც 2 წლის თამრიკო და 6 წლის გიორგი წამოეყვანა, ლაშქრობის დასასრულს გავესაუბრეთ.

— არ ვნანობ, რომ ლაშქრობაში ბავშვებთან ერთად წამოვედი. ბავშვის ტარება არ გამჭირვებია, თანამოლაშქრეებიც დამეხმარნენ.გიორგიმაც კარგად იარა. ასეთ ლაშქრობაში, ჩემი აზრით, ყველას შეუძლია მონაწილეობა.

— კიდევ წამოხვალ? —ვეკითხები პატარა გოგის. პასუხად გოგიმ თავი მორცხვად დამიქნია, მერე წარბები შეკრა და დედის კალთას ამოეფარა.

სხვათა შორის, იმ თადარიგიანებმა სულ ტყუილად ატარეს წამლები. ვალიდოლი და სხვა ამგვარი წამლები ზედმეტი ბარგი აღმოჩნდა.

**ავთანდილ ჟუჟიშელი.**

**რედაქციისაგან:** გულახდილად ვიტყვით, ერთი დარგის ამდენი წარმომადგენელი ერთად გამოხული არასოდეს გვინახავს ტურისტულ ბილიკებზე. მედიცინის მუშაკებმა დაამტკიცეს, რომ ჯანმრთელობის ფასი ყველაზე უკეთ მაინც ექიმებმა იციან. ტურისტულ ლაშქრობაში მონაწილეობდნენ ახალგაზრდებიც. და ხანდაზმულებიც, თითოეულ მათგანს გადაწყვეტილი ჰქონდა საკუთარი ძალები გამოეცადა. ამიტომ ლაშქარს არავინ ჩამორჩენია.

რედაქცია მადლობას მოახსენებს საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის ხელმძღვანელებს, ამავე ინსტიტუტის პროფესორს ავთანდილ ციბაძეს, სპორტსაზოგადოება „სპარტაკის“ რესპუბლიკური საბჭოს თანამშრომლებს, რომლებმაც დიდი დახმარება გაგვიწიეს ამ მასობრივი ღონისძიების ოგანიზებასა და ჩატარებაში.





**უჩვეულო** გამოცოცხლება იგრძნობოდა 15 ივნისს თბილისის ზღვის კულტურისა და დასვენების პარკში. საზეიმო განწყობილებას თითქოს ამინდმაც შეუწყო ხელი (არადა, კვირას ამინდის ბიუროს პროგნოზი ავდარს გვიწინასწარმეტყველებდა). ოქტომბრის რაიონის სპორტკომიტეტმა ყველაფერი იღონა იმისთვის, რომ მედიცინის მუშაკებს და მათ ოჯახებს შინაარსიანად დაესვენათ. ჩატარდა შეჯიბრება მინი-ფეხბურთში, კალათბურთში, ჭადრაკში, გირების აწევაში და ბაგირის გადაძალვაში. მოეწყო ერთდროული გარბენი 80 კაცის მონაწილეობით. არც თევზაობისა და ცურვის მოყვარულები ისხდნენ უქმად.





ლახტის წრეში

# ნუ გააწბილებთ ბავშვებს!

**ნათქვამია,** ტყუილს მოკლე ფეხები აქვსო. მთლად ეგრე არ ყოფილა საქმე. თურმე შეიძლება ტყუილს „გრძელი ფეხებიც“ ჰქონდეს... ჩვიდმეტი წელია წულუკიძელ ბავშვებს ატყუებენ და გამკითხავი არავინაა. ამ წლების მანძილზე წულუკიძეში ბევრი რამ აშენდა, მარტო ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლას არ დაადგა საშველი.

ადვილი წარმოსადგენია, რა პირობებში მუშაობს სპორტული სკოლა, რომელსაც ბეჭდისა და შტამპის მეტი საკუთარი არაფერი გააჩნია. ადვილი წარმოსადგენია, რას ფიქრობენ წულუკიძელი ბავშვები იმ „კეთილ ძიებზე“, რომელთა დაპირებებს ბოლო არ უჩანს.

ახლა ზუსტად ვერავინ გეტყვით, რამდენჯერ „დაკონსერვდა“ სპორტული სკოლის მშენებლობა. პირველი პროექტი 1969 წელს დამტკიცდა. მას შემდეგ პროექტი ბევრჯერ შეიცვალა, სპორტსკოლის ბალავერი კი მხოლოდ 1980 წელს გაიჭრა... მშენებლებს ყოველდღე თითო აგურიც რომ დაედოთ, სპორტსკოლა კარგა ხნის აშენებული იქნებოდა. მაგრამ, ეტყობა, მათ არსად ეჩქარებათ. როგორც ჩანს, არც ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოები აჩქარებენ მაინცდამაინც. წელს სპორტსკოლის მშენებლობა სახელმწიფო გეგმაში შეიტანეს (საქართველოს განათლების სამინისტრომ 323 ათასი მანეთი გამოყო) და წელსვე უნდა დამთავრდეს. საეჭვო კია. ყოველ შემთხვევაში, აღმასკომისა და განათლების განყოფილების ხელმძღვანელ მუშაკთა შორის დიდი ოპტიმიზმი არ იგრძნობა.

მშენებლები? ისინი ორ კვირაში ერთხელ თუ აკითხავენ იქაურობას. სამუშაოთა მწარმოებელმა ომარ პაიჭაძემ თქვა, ამწეს თუ მიშოვით, წლის ბოლომდე ბევრს მოვასწრებთო. რედაქციას, მოგეხსენებათ, ამწე არა აქვს, მაგრამ ჩვენ მოვალენი ვართ საქართველოს მშენებლობის სამინისტროს მე-20 სამშენებლო ტრესტის მმართველს ლევან ყიფიანს შევახსენოთ, რომ საქმეს ბოლომდე უნდა მიყვანა.

სპორტსკოლის მშენებლობის დამთავრებას მოუთმენლად ელიან წულუკიძელი ბავშვები. ამჯერად მაინც ნუ გავუწბილებთ იმედს.

პასუხს რაიონის აღმასკომისა და მშენებლობის სამინისტროს მე-20 ტრესტის ხელმძღვანელებისგან ველით.



აი, ასე გამოიყურება წულუკიძის „მშენებარე“ სპორტული სკოლა.
გივი ჩირგაძის ფოტო.

# წერილი არ დაბეჭდილა...

მიმდინარე წლის აპრილში რედაქციაში მამხილებელი წერილი მოვიდა ქუთაისიდან. გვწერდნენ, რომ ადგილობრივი „ტორპედოს“ მატჩებზე უხეშად ირღვევა საფეხბურთო ლატარიის ბილეთების რეალიზაციის წესები, არის შემთხვევები, როცა ბილეთებს ყიდიან ზედმეტ ფასებში და ა. შ. წერილი ზომების მისაღებად გადავუგზავნეთ საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს. ამ დღეებში მივიღეთ პასუხი.

* * *

„მოგახსენებთ, რომ ჩვენს მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად მიმდინარე წლის 10 მაისს მხილებულია ქუთაისის ცენტრალური სტადიონის სეზონური მოლარე — მარინე მიქაძე, რომელმაც 5 ცალ საფეხბურთო ლატარიის ბილეთში და 5 ცალ სტადიონზე შესასვლელ ბილეთში მოქალაქეებს, ნაცვლად 12 მანეთისა და 50 კაპიკისა, გადაახდევინა 15 მანეთი. ე. ი. აიღო ზედმეტი 2 მანეთი და 50 კაპიკი.

მ. მიქაძის მიმართ 1986 წლის 28 მაისს აღიძრა სისხლის სამართლის საქმე საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 158-ე მუხლის პირველი ნაწილით. გამოძიებას აწარმოებს ქუთაისის შინაგან საქმეთა სამმართველოს ავტოქარხნის რაიგანყოფილების საგამომძიებლო ჯგუფი.“

**ე. ბუსხრიკიძე,**
ქუთაისის შინაგან საქმეთა სამმართველოს სოციალისტური საკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი განყოფილების უფროსი, მილიციის მაიორი.

# ზედიზედ მეხუთედ

**ახმეტაში** მეხუთედ ჩატარდა სპორტის დამსახურებული ოსტატის ფარნაოზ ჩიკვილაძის სახელობის ჭაბუკთა საკავშირო ტურნირი ძიუდოში. ასპარეზობაში მონაწილეობდა ორჯონიკიძის, კრასნოიარსკის, კრასნოვოდსკის, თბილისის, თელავის, გორის, საგარეჯოს, რუსთავის, ზესტაფონის, თიანეთის და ახმეტის ნაკრები გუნდების 170 სპორტსმენი. მასპინძლებმა, ახმეტელმა მოჭიდავეებმა არც ამჯერად გააწბილეს თავიანთი გულშემატკივრები და ზედიზედ მეხუთედ მოიპოვეს ტურნირის მთავარი პრიზი. ტურნირის ჩემპიონები გახდნენ: მ. სარქისაშვილი (45 კგ), ი. წიკლაური (57), ზ. მაისურაძე (62), გ. დოლაძე (68) და რ. უძილაური (83). მათ გარდა პირველი ადგილები დაიკავეს ა. კალოევმა (49 კგ, ორჯონიკიძე), ვ. არუთინოვმა (53, თელავი), დ. ბედიანაშვილმა (75, გარდაბანი), ქ. გურეშიძემ (მძიმე წონა, ზესტაფონი). გუნდურ ჩათვლაში მეორე იყო თელავის, მესამე — ორჯონიკიძის ნაკრები.

**ალექსი პაპოშვილი,**
„ლელოს“ კორესპონდენტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირის თასზე

# როცა წინ გადამწყვეტი მატჩებია



თბილისი. 14 ივნისი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონი.

„დინამო" (თბილისი) — „როსტსელმაში" (დონის როსტოვი) 2:0 (0:0).

„დინამო": გაბელია, კეტაშვილი, არზიანი (ჟორდანია, 77 წთ.), ჩედია, კუდინოვი, გურული (მიქაბერიძე, 74), სვანაძე, სულაქველიძე, გუცაევი, ცაავა, მესხი (გაზაევი, 46).

„როსტსელმაში": რუდენკო, პიატიკოვი (შიკუნოვი, 59), ივანოვი, პაროვინი (ლიახი, 60), მარქარიანი, პაპადოპულო, გიცელოვი, სელინი, ტიმოშენკო, ოკუნევი.

მსაჯი: ს. ჰუსაინოვი (მოსკოვი).

გოლები გაიტანეს: ცაავამ (71), გაზაევმა (77).

მინდვრიდან გააძევეს ოკუნევი.

საბჭოთა კავშირის თასის გათამაშების ყოველ ეტაპზე მოწინააღმდეგე გუნდები თითოჯერ ხვდებიან ერთმანეთს და გამარჯვებულიც, ბუნებრივია, სწორედ ამ ერთადერთმა მატჩმა უნდა გამოავლინოს. ასეთ ვითარებაში გასაგებ უპირატესობას იძენს მასპინძელი გუნდი. თბილისის დინამოელებმა „როსტსელმაშთან" შეხვედრაში შეძლეს მასპინძლის პრივილეგიის გამოყენება — ცაავასა და გაზაევის მიერ გატანილი ორი გოლის შედეგად დაამარცხეს მეტოქე (2:0). ამდენად, თბილისელებმა დასახული კონკრეტული ამოცანა გადაჭრეს და გათამაშების მომდევნო ეტაპზე, მერვედფინალში თამაშის უფლებაც მოიპოვეს. მიუხედავად ამისა, მცირერიცხოვანი მაყურებელი გულნაკლული ტოვებდა „დინამოს" სტადიონს.

დიახ, თბილისელთა თამაშმა ვერც ამჯერად დააკმაყოფილა გულშემატკივართა მოთხოვნები. ახლა არ შევუდგებით ჩვენი ფეხბურთელების შეცდომების ჩამოთვლას, მათი თამაშის ნეგატიური მხარეების გამოყოფასა და იმის გაანალიზებას თუ რით არის ეს გამოწვეული. ჯერ ერთი, დინამოელთა თამაშის ხარისხზე მსჯელობა დიდ ადგილს დაიკავებდა და შორს წაგვიყვანდა; მეორეც, „დინამოს" ხელმძღვანელობამ ყველაზე უკეთ იცის გუნდის თამაშის ნაკლი და მისი მიზეზები. ასე რომ, შექმნილი მდგომარეობიდან თავის დასაღწევ გზებსაც ყველაზე უკეთ ისინი უნდა ხედავდნენ, მდგომარეობის გამოსასწორებლად ჩვენი რესპუბლიკის უძლიერესი გუნდის თითოეულმა წევრმა ყველა ღონეს უნდა მიმართოს და ძალები არ დაიშუროს.

ვინმე შეიძლება შემოგვედაოს: რაღა უარყოფით მხარეზე ამახვილებთ ყურადღებას და კარგს ვერაფერს ხედავთო. შეიძლებოდა გაგვეხსენებინა, რომ თბილისელებმა პირველივე წუთზე შექმნეს სახიფათო მომენტი მეტოქის კართან, როცა არზიანი გავიდა მარცხენა ფრთაზე და კარის გასწვრივ ჩააწოდა ბურთი (როსტოველთა მეკარე რუდენკომ დაასწრო გურულს), შეგვიძლია გავიხსენოთ, რომ 26-ე წუთზე გუცაევის მიერ დარტყმული ბურთი „როსტსელმაშის" კარის ძელმა მოიგერია, კიდევ შეიძლება სამი-ოთხი ეპიზოდის ჩამოთვლა, მაგრამ ეს რას გვარგებს?

როდესაც თბილისის „დინამო" შინ ეთამაშება პირველი ლიგის დებიუტანტს და თანაც ტაიმ-ნახევრის განმავლობაში რიცხობრივი უპირატესობა აქვს (მსაჯმა გინებისთვის მინდვრიდან გააძევა როსტოველთა თავდამსხმელი ოკუნევი), ტერიტორიული უპირატესობა, რა თქმა უნდა, მის მხარეს უნდა იყოს და მეტოქის კართან რამდენიმე სახიფათო მომენტიც უნდა შექმნას. ეს ჩვეულებრივი ამბავი მგონია და თუ ასე არ იქნა, ე. ი. კატასტროფის პირას ვყოფილვართ. აქედან გამომდინარე, „როსტსელმაშთან" შეხვედრაში თბილისელთა მიერ შექმნილ მომენტებზე ლაპარაკი ერთგვარ თავის მართლებას დაემსგავსებოდა, ეს კი, უპირველესად, საკუთარი თავის მოტყუება იქნებოდა.

ერთი წუთითაც არ გვინდა ვიფიქროთ, რომ „დინამოს" უკურნებელი სენი სჭირს, პირიქით, მოუთმენლად ველით როდის გამოიღებს შედეგს გამოცდილ მწვრთნელთა დასახული გზები. წინ საკავშირო ჩემპიონატისა და თასის გათამაშების გადამწყვეტი მრავალი მატჩია.

**ზურაბ ფოცხვერია.**

### ამავე დღეს შედგა მეთექვსმეტედფინალის სხვა მატჩებიც

**ქუთაისის** ტორპედოელებმა კიროვაბადში ითამაშეს ადგილობრივ „ქიაფაზთან" (I ლიგა). ქუთაისელთა ხელმძღვანელობამ ამ მატჩში ახალგაზრდული შემადგენლობა გამოიყვანა მინდორზე: **ქანთარია, პაპავა, თევზაძე, დოჩია, ივანეიშვილი** (**გოგელაძე**), **ტყავაძე, ხუნდაძე, ნოზაძე** (**პაჭკორია**), **შენგელია, წიკლაური, მანაგაძე.** მატჩის ძირითადი დრო დამთავრდა ფრედ—1:1, ქუთაისელთაგან ბურთი გაიტანა **მანაგაძემ.** დამატებით დროში ანგარიში არ შეცვლილა, დამატებითი პენალტებით კი გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 7:6 (სულ — 8:7).

**ბათუმის** დინამოელებმა თავიანთ მინდორზე მიიღეს უმაღლესი ლიგის გუნდი — ხარკოვის „მეტალისტი". ამ თამაშის შესახებ ჩვენმა ბათუმელმა კორესპონდენტმა **ოთარ მურვანიძემ** ტელეფონით შეგვატყობინა:

— ხარკოველ ფეხბურთელთა წარმატებაში დიდი როლი ითამაშა შეხვედრის დასაწყისმა: ჯერ კიდევ პირველ წუთზე კარში სახიფათოდ დაარტყა დუმანსკიმ, ბათუმელთა მეკარე მამინაშვილმა მოასწრო ბურთის მოგერიება, მგრამ რამდენიმე წუთის შემდეგ ლოზინსკის მოწოდება კარგად გამოიყენა ტარასოვმა და თავით გაგზავნა ბურთი „დინამოს" კარში — 1:0.

მასპინძლებს შუა ტაიმში ანგარიშის გათანაბრების შესაძლებლობა მიეცათ, საპასუხო ბურთის გატანა ზედანიას შეეძლო, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში ზუსტად ითამაშა მეკარე სივუხამ.

შესვენების შემდეგ ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენა თვალაბეიშვილმა, 65-ე წუთზე კი ტარასოვმა მეორედ აიღო მასპინძელთა კარი. ბათუმელებმა მხოლოდ ის შეძლეს, რომ 71-ე წუთზე ერთი საპასუხო გოლი გაიტანა კიკლიაშვილმა. „მეტალისტის" გამოცდილმა ფეხბურთელებმა შეინარჩუნეს გამარჯვება.

მეტოქეთა შემადგენლობანი: **„დინამო"** — მამინაშვილი, კაკაბაძე, ანდღულაძე, დურდიაძე, ჩიქოვანი, ზედანია, კიკლიაშვილი, ათუაშვილი, შელია, მაისურაძე, პაიჭაძე (თვალაბეიშვილი); **„მეტალისტი"** — სივუხა, კრიაჩკო, კუზნეცოვი, პანჩიშინი, კამარზაევი, დუმანსკი (მახინია), ლოზინსკი, ვაშჩენკო (სუსლო), სალკო, ტარასოვი, აჯოევი (პეტრენკო). მსაჯი — გ. გალიკოვი (ლენინგრადი). გააფრთხილეს დუმანსკი და კიკლიაშვილი.

სხვა შეხვედრათა შედეგები: „დინამო" (მინსკი) — „კოტაიკი" (აბოვიანი) 4:1, „დნეპრი" (მოგილიოვი) — „ზენიტი" (ლენინგრადი) 0:2, „ხიმიკი" (გროდნო) — „ნეფთჩი" (ბაქო) 1:0, „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) — „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) 2:1 (დამატებით დროში, ძირითადი დრო — 1:1), „დაუგავა" (რიგა) — „ქაირათი" (ალმა-ათა) 2:1, „შახტიორი" (ყარაგანდა) — „დინამო" (მოსკოვი) 1:3, „ჟალგირისი" (ვილნიუსი) — „ყუბანი" (კრასნოდარი) 3:0, ასკ „კარპატი" (ლვოვი) — „არარატი" (ერევანი) 1:0, „ტავრია" (სიმფეროპოლი) — „ჩერნომორეცი" (ოდესა) 2:1, „კოლოსი" (ნიკოპოლი) — „შახტიორი" (დონეცკი) 2:0, „სპარტაკი" (მოსკოვი) — ცსკა 3:1, „სოკოლი" (სარატოვი) — „ტორპედო" (მოსკოვი) 1:3.

## XIII მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში

# მექსიკა—86

**მსოფლიოს XIII საფეხბურთო ჩემპიონატზე დადგა გადამწყვეტი ეტაპი. გათამაშებას მერვედფინალში შემორჩნენ მხოლოდ უძლიერესნი, პირველი ეტაპის წრიული სისტემა გამოთიშვითი წესით შეიცვალა, წაგებულები შინ მიემგზავრებიან და, ალბათ, ამიტომაც ეწოდება გადამწყვეტი ამ ეტაპის მატჩებს. სიმართლე რომ ვთქვათ, მანამდეც ყოველი შეხვედრა გადამწყვეტი იყო ექვსივე წინასწარ ჯგუფში, მაგრამ წრიული სისტემა, როგორც წესი, გარკვეულ იმედებს უნარჩუნებს წაგებულებს, ოლიმპიური წესი კი ულმობელია: მერვედფინალში მონაწილე 16 გუნდიდან, 8 აუცილებლად გამოეთიშება ჩემპიონატს, ალტერნატივა აქ არ არსებობს...**

ყველა იმ ამბის შესახებ, რაც კი ახლა მექსიკის სტადიონებზე ხდება, დაწვრილებით ანალიზს ისინი მოგვაწვდიან, ვინც კი უშუალოდ იმყოფებოდა მსოფლიო ჩემპიონატზე, მაგრამ პირველი ეტაპის შემდეგ გარკვეული შთაბეჭდილება ჩვენც შეგვექმნა, ჩვენ — ვინც ტელევიზორებსა ვართ მიმსხდარი და ზოგიერთნი, შეიძლება, მარტოოდენ რადიოს იმედითაც არიან. მსოფლიო ჩემპიონატებზე, ჯერ კიდევ დასაბამიდან, ბრძოლა მიმდინარეობდა სამხრეთ ამერიკისა და ევროპის ქვეყნების გუნდებს შორის. 1930 წლიდან მოყოლებული ჩემპიონატი 12-ჯერ გათამაშდა, ექვსჯერ გაიმარჯვეს სამხრეთამერიკელებმა, ექვსჯერ — ევროპელებმა. ახლა ამ მოქიშპეთაგან ვიღაცა აუცილებლად დაწინაურდება, თუ „საქმეში" არ ჩაერია მაროკოს საკმაოდ ძლიერი ნაკრები, რომელიც 16 უძლიერეს გუნდს შორის მოხვდა ჩემპიონატის მეორე ეტაპზე. ერთგვარი „უპირატესობა", თუკი ეს უპირატესობად შეიძლება ჩავთვალოთ, ახლა ევროპელებს აქვთ: მერვედფინალის ეტაპზე ევროპიდან 10 გუნდი გავიდა, სამხრეთ ამერიკიდან კი მხოლოდ 5, მაგრამ, როგორც იცით, პირველივე დღეს შეჯიბრებას უკვე გამოეთიშა ევროპის ორი გუნდი და, გარდა ამისა, საქმე მარტო ამგვარ ციფრობრივ სტატისტიკაში არაა. ყველაფერს საბოლოო შედეგი განსაზღვრავს, თამაშის მაღალი კლასი.

ყოველი დიდი შეჯიბრების გადამწყვეტ ეტაპზე მეტოქეები საგანგებო მობილიზებით იბრძვიან, ამდენად, საინტერესოა, დაზოგა კი ვინმემ ძალები მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის პირველ ეტაპზე? კონკრეტულად, ლაპარაკობდნენ, რომ დასავლეთგერმანელმა ფეხბურთელებმა განზრახ წააგეს დანიის ნაკრებთან მხოლოდ იმიტომ, რომ მერვედფინალში მაროკოს გუნდს შეხვედროდნენ. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრების შეფმა ფ. ბეკენბაუერმა ამის თაობაზე კატეგორიულად და უყოყმანოდ თქვა: სიცრუეა, მსგავსი რამ ჩვენ არ გვეხება. მსოფლიო ჩემპიონატზე ვინც ძალებს დაზოგავს და ოდნავ მაინც მოადუნებს ყურადღებას, მერე მას წარმოუდგენლად გაუძნელდება ხელახალი მობილიზება. ჩვენ ვთამაშობთ ისე, როგორც შეგვიძლია...

ამჟამად მიმდინარე ჩემპიონატში ჯერჯერობით ვერ ვიხილეთ რადიკალური ხასიათის ნოვაციები, ახალი ტაქტიკური იდეები, ექსპერიმენტული ძიებანი. ვფიქრობთ, თანამედროვე ფეხბურთში პრინციპულად ახალი ტაქტიკის მოძებნა უაღრესად ძნელი ამბავია, მაგრამ ის კი ცხადია, რომ ჩემპიონატის ყოველ მატჩს, თითოეულ სათამაშო ეპიზოდს თან ახლავს უდიდესი სპორტული დაძაბულობა, ფეხბურთელები ყოველ ასეთ ცალკეულ ეპიზოდში ავლენენ მაქსიმუმს, რაც კი მათ შეუძლიათ. პასიური, ან მინდორზე უქმად მდგარი მოთამაშე, ჩვენ არ გვინახავს.

იქნებ, ამიტომაცაა, რომ ჩემპიონატის მატჩებს თან დიდი რაოდენობით სდევს უხეშობა და დარღვევები. გათამაშების პირველი ეტაპის 36 მატჩში 24 გუნდის ფეხბურთელებმა 83 გაფრთხილება მიიღეს, რეკორდსმენებად ამ საქმეში გვევლინებიან ერაყელები (8 გაფრთხილება), ურუგვაელები, (7 გაფრთხილება), სამხრეთკორეელები (7 გაფრთხილება). მსაჯებმა 6 ფეხბურთელი გააძევეს მინდვრიდან. ურუგვაის ნაკრებს, რომელიც, ჩვენი აზრით, ყველაზე უხეშად თამაშობს მექსიკაში, ორჯერ მოუხდა თამაში 10 ფეხბურთელის შემადგენლობით გაძევებათა გამო.

მექსიკაში აკრედიტებული კორესპონდენტები აღნიშნავენ, რომ ბრაზილიის ნაკრები მეთოდურად, თანდათან უმატებს თამაშს, პირველი ორი მკრთალი გამარჯვების შემდეგ ესპანეთისა (1:0) და ალჟირის (1:0) გუნდებთან, ბრაზილიელებმა ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრებთან მთელი თავიანთი შესაძლებლობები გამოავლინეს, ისინი თანდათან ემგვანებიან იმ გუნდს, რომელსაც ჩემპიონატის პირველ ფავორიტად ასახელებდნენ. თამაშს მოუმატეს ფრანგებმა, დანიელებმა, ინგლისელებმა, ხოლო, რაც შეეხება ურუგვაის გუნდს, იგი ერთიანად ემოციებსა და აფექტებსაა აყოლილი, ასევე იმპულსურია არგენტინის ნაკრებიც (გუშინ პუებლაში სწორედ ეს გუნდები შეხვდნენ ერთმანეთს).

საინტერესოა, რომ XIII მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ყველა ადრინდელი ჩემპიონი მონაწილეობდა და ყველა ეს ექვსივე მსოფლიო ჩემპიონი მერვედფინალშიც გავიდა.

მსოფლიო ჩემპიონატის დაძაბულობა დიდად დაეტყო მერვედფინალური ეტაპის პირველივე მატჩს მექსიკისა და ბულგარეთის გუნდებს შორის, რომელიც მეხიკოს „აცტეკას" სტადიონზე შედგა. ბულგარელთათვის ძალზე ძნელი იყო სრული მობილიზებით თამაში იმ აუწერელი აჟიოტაჟის პირობებში, რაც სტადიონზე სუფევდა. 100 ათასზე მეტი გულშემატკივარი ისტერიულად ქომაგობდა თავის გუნდს, შეიძლება, ძნელიცაა ლაპარაკი მეტოქეთა ძალების რეალურ შეფარდებაზე, არნახული მხარდაჭერით გამხნევებული მექსიკელები აშკარად ჯობდნენ ბულგარელებს, ეს უკანასკნელნი თავიანთ შესაძლებლობაზე გაცილებით სუსტად გამოიყურებოდნენ, მათი თავდამსხმელები პასიურობდნენ, უხეში შეცდომები მოსდიოდათ მცველებსაც და მხოლოდ მეკარე მიხაილოვი იყო ის ფეხბურთელი, რომელიც სრული ძალით თამაშობდა მთელი მატჩის მსვლელობაში.

მექსიკელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 2:0, მათს წარმატებაში დაეჭვებაც კი არ შეიძლება. პირველი ბურთი მანუელ ნეგრეტემ გაიტანა ბრწყინვალე დარტყმით, მერე კი სერვინმა კუთხური მოწოდების შემდეგ თავით გაგზავნა მეორე ბურთი მიხაილოვის კარში.

15 ივნისს ლეონში გაიმართა მეორე მერვედფინალური მატჩი, ერთმანეთს შეხვდნენ სსრ კავშირისა და ბელგიის ფეხბურთელები. საკდესის კორესპონდენტები ა. ლევინსონი და ვ. ფესენკო ლეონიდან იტყობინებიან;

მატჩი უკიდურესად დაძაბული ბრძოლით აღინიშნა. პირველი ბურთი საბჭოთა ფეხბურთელმა ბელანოვმა გაიტანა, შემდეგ ბელგიელმა შიფომ აღადგინა თანაფარდობა, მალე კვლავ ბელანოვმა დააწინაურა თავისი გუნდი და ბელგიელებმა მეორედ გაქვითეს გოლი — 2:2. ასე დამთავრდა მატჩის ძირითადი დრო, დამატებით დროში ბელგიელებმა კიდევ ორი ბურთი გაიტანეს, ხოლო ბელანოვმა ამის შემდეგ ზუსტად გამოიყენა 11-მეტრიანი. ანგარიშით 4:3 გაიმარჯვეს ბელგიელებმა.

სსრ კავშირის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვ. ლობანოვსკიმ განაცხადა, რომ ჩვენი რამდენიმე მოთამაშე აშკარად სუსტად, უხეში შეცდომებით თამაშობდა, რის გამოც გუნდმა მარცხი იწვნია. აღსანიშნავია მსაჯის შეცდომაც (შვედი ე. ფრედრიქსონი), რომელმაც შეცდომით ჩათვალა ჩვენს კარში აშკარა თამაშგარე მდგომარეობიდან გატანილი მეორე გოლი. ჟურნალისტთა ლოჟიდანაც კი ჩანდა როგორ არადამაჯერებლად მოიქცა გვერდითი მსაჯი ესპანელი ვ. სანჩესი: მან დროშის აწევით აღნიშნა თამაშგარე მდგომარეობა, მაგრამ შემდეგ მოულოდნელად ძირს დაუშვა იგი. სამწუხაროდ, ჩვენი ფეხბურთელები გვერდითი მსაჯის ამ სიგნალზე შეჩერდნენ, რასაც გოლი მოჰყვა.

საერთოდ, მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის მსაჯობა სათანადო დონეზე ვერ დგას, ამის თაობაზე პრეტენზიებს გამოთქვამენ გუნდების მწვრთნელები, მაგრამ როცა ჟურნალისტებმა მსაჯთა შეცდომებზე მიმართეს ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტს ჟ. ავლანჟს, მან თავი ისე დაიჭირა, თითქოს მსგავსი რამ არ მომხდარიყოს.

მაგრამ სწორი არ იქნებოდა ჩვენი გუნდის დამარცხება მხოლოდ უზუსტო მსაჯობისათვის დაგვებრალებინა. მთელ რიგ ეპიზოდებში აშკარად სუსტად ითამაშეს ბალმა, ბესონოვმა, კუზნეცოვმა, რაცმა და დასაევმა. ამის შესახებ საკდესის კორესპონდენტებს ესაუბრა საკავშირო სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს უფროსი ვ. კოლოსკოვი. როცა ბელგიელებს ბურთები გაჰქონდათ, ჩვენი მცველები იბნეოდნენ და საშუალებას აძლევდნენ მეტოქეებს კარში დაერტყათ ბურთი. საბჭოთა გუნდის თავდამსხმელებს ჰქონდათ რამდენიმე კარგი მომენტი, კერძოდ, ბელანოვმა, იარემჩუკმა ძელს მოახვედრეს ბურთი, ვერ გამოიყენა კარგი შესაძლებლობა იაკოვენკომ.

საბჭოთა ნაკრებმა ამ მატჩში ასეთი შემადგენლობით ითამაშა: დასაევი, ბალი, ბესონოვი, კუზნეცოვი, დემიანენკო, იარემჩუკი, ალეინიკოვი, იაკოვენკო (ევტუშენკო), ზავაროვი (როდიონოვი), რაცი, ბელანოვი.

პირველ მერვედფინალურ მატჩებში გამარჯვებული მექსიკისა და ბელგიის გუნდები მეოთხედფინალში გააგრძელებენ ბრძოლას. მექსიკელები შეხვდებაინ გფრ — მაროკოს წყვილში გამარჯვებულს, ხოლო ბელგიელები დანია — ესპანეთის მატჩში გამარჯვებულს. მეოთხედფინალური მატჩები გაიმართება 21 და 22 ივნისს.

### საქართველოს პირველობა

**განვლილ შაბათ-კვირას გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის XIV ტურის შეხვედრები I ლიგის გუნდებს შორის.**

**აღმოსავლეთი ჯგუფი.** „ქართლი" (გორის რ-ნი) — „ივერია" (ხაშური) 1:0, „მადნეული" (ბოლნისი) — „სპარტაკი" (ცხინვალი) 4:1, „იმედი" (თბილისი) — „დურუჯი" (ყვარელი) 1:2, „არმაზი" (მცხეთა) — „სინათლე" (თბილისი) 0:2, „მეტალურგი" (ზესტაფონი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 2:1.

**დასავლეთი ჯგუფი.** „სულორი" (ვანი) — „სალხინო" (გეგეჭკორი) 3:1, „საპოვნელა" (თერჯოლა) — „მერცხალი" (მახარაძე) 0:2, „სამეგრელო" (ჩხოროწყუ)—„ეგრისი" (ცხაკაია) 0:0, „სქური" (წალენჯიხა) — „ამირანი" (ოჩამჩირე) 2:1, „ბახმარო" (ჩოხატაური) — „იმერეთი" (ქუთაისი) 1:0, „დინამო" (გაგრა) — „დინამო" (ზუგდიდი) 1:0.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადა

# კალათბურთელებმა ურთიერთობა გაარკვიეს

**კიევი.** დამთავრდა საბჭოთა კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული კალათბურთელთა ფინალური ტურნირი. ბოლო დღის მატჩები ასე დამთავრდა: ქალები. მოსკოვი — ყაზახეთი 69:56, ლიტვა — აზერბაიჯანი 87:61, ლენინგრადი — რსფსრ 72:68, ბელორუსია — უკრაინა 53:48. ვაჟები. ლიტვა — ესტონეთი 77:68, ლატვია — ლენინგრადი 84:60, რსფსრ — ყაზახეთი 83:75, უკრაინა — მოსკოვი 79:64.

შეიქმნა ორიგინალური სატურნირო მდგომარეობა: ქალთა ხუთმა კოლექტივმა და ვაჟთა სამმა გუნდმა ქულათა თანაბარი რაოდენობა დააგროვეს. ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალოსნების გამოსავლენად მსაჯთა კოლეგიას პირადი შეხვედრებისა და გატანილი და მიღებული ბურთების სხვაობის დათვლა დასჭირდა. საბოლოოდ სატურნირო ცხრილში გუნდები ასეთი თანამიმდევრობით განაწილდნენ:

**ქალები**

| | თ. | ქ. |
|---|---|---|
| 1. რუსეთის ფედერაცია | 7 | 13 |
| 2. უკრაინა | 7 | 11 |
| 3. ყაზახეთი | 7 | 11 |
| 4. მოსკოვი | 7 | 11 |
| 5. ბელორუსია | 7 | 11 |
| 6. ლენინგრადი | 7 | 11 |
| 7. ლიტვა | 7 | 9 |
| 8. აზერბაიჯანი | 7 | 7 |

**ვაჟები**

| | | |
|---|---|---|
| 1. უკრაინა | 7 | 14 |
| 2. ყაზახეთი | 7 | 12 |
| 3. ლატვია | 7 | 11 |
| 4. რუსეთის ფედერაცია | 7 | 11 |
| 5. ლიტვა | 7 | 11 |
| 6. მოსკოვი | 7 | 10 |
| 7. ესტონეთი | 7 | 8 |
| 8. ლენინგრადი | 7 | 8 |

# სტარტზე ველოსიპედისტები გამოდიან

**ქალთა** მრავალდღიანი ველორბოლა საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადების პროგრამაში პირველადაა შეტანილი. IX სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ ასეთ შეჯიბრებას სტარტი ჩერნოვციში მიეცა. პირველ ეტაპზე ველოსიპედისტები ერთმანეთს პროლოგში ეჯიბრებოდნენ, რომლის დისტანცია ოდნავ აღემატებოდა 4 კილომეტრს, მაგრამ ერთობ რთული იყო.

პირად ჩათვლაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. ა. იაკოვლევა (რსფსრ )— 6.31,81; 2. ტ. ვოლკოვა (უკრაინა) — 6.45, 06; 3. ი. არეხოვა (უზბეკეთი) -— 6.53,47.

გუნდური ადგილები პროლოგის შემდეგ. 1. რუსეთის ფედერაცია — 27.50; 2. უკრაინა — 27,52; 3. მოსკოვი — 28,11.

# გარი კასპაროვი: ჭადრაკი, გამოცდები, შეხვედრები

გარი კასპაროვსა და ანატოლი კარპოვს შორის მატჩ-რევანშის დაწყებამდე თვე-ნახევარი დარჩა, მსოფლიო ჩემპიონს კი ამ შეხვედრისთვის მზადებასთან ერთად „სტუდენტური პრობლემებიც“ აქვს გადასაწყვეტი. კასპაროვმა უკვე ჩააბარა პირველი გამოსაშვები გამოცდა აზერბაიჯანის უცხო ენების პედაგოგიურ ინსტიტუტში. ივნისში მან კიდევ ოთხი გამოცდა უნდა ჩააბაროს.



— გამოცდების ჩაბარება მატჩ-რევანშისათვის მზადების პერიოდში მიხდება, — უთხრა კორესპონდენტს კასპაროვმა, — არადა, უკვე დროა, რომ უფრო ფორსირებულად ვემზადებოდე. ამ დღეებში ჩემს მწვრთნელთან ერთად დავიწყებ მზადების მესამე, დასკვნით ეტაპს.

**⊙ თქვენი მატჩი ენტონი მაილსთან და სხვა ქვეყნებში სტუმრობაც ამ მზადების გეგმით იყო გათვალისწინებული?**

— ძირითადად ასე იყო. ამ გეგმის მთავარ ნაწილად ინგლისელ დიდოსტატთან ბაზელში გამართულ მატჩს ვთვლი. შეხვედრა საკმაოდ საინტერესო და შინაარსიანი იყო. ამას ხელი შეუწყო მაილსის „უშეღავათო“ თამაშმა, რომელსაც რამდენიმე პარტიაში პერსპექტიული პოზიცია ჰქონდა. მე ოთხი ასეთი მატჩი ვითამაშე, თითოეული 6 პარტიისაგან შედგებოდა. უფრო ეფექტური იქნებოდა, მოკრივის ენით რომ ვთქვა, 8 ან 10-რაუნდიანი ორთაბრძოლები. საერთოდაც, უკვე განვიცდი სატურნირო „შიმშილს“. მე ხომ უკანასკნელად ტურნირში 1983 წელს მივიღე მონაწილეობა. მას შემდეგ ვითამაშე 124 სამატჩო შეხვედრა და არც ერთი სატურნირო პარტია. მატჩ-რევანშის შემდეგ კი კვლავ გამოვალ ტურნირებში.

**⊙ თქვენი მოგზაურობის დროს რამდენიმე სეანსი გამართეთ...**

— დიახ. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში რვა დაფაზე ვეთამაშე ამ ქვეყნის ახალგაზრდულ ნაკრებს — 6,5:1,5; ინგლისში 20 დაფაზე — ახალგაზრდა მოჭადრაკეებს. შეჯიბრება დროის რეგლამენტის გარეშე მიმდინარეობდა და დამთავრდა ანგარიშით 14:6. მოეწყო სეანსები 7 დაფაზე ბარსელონაში — 7:0, სადაც მე „ოსკარი“ გადმომცეს. ამ სამი სეანსის საერთო ანგარიშია 27,5:7,5.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩემს მეტოქეთა შორის იყვნენ საკმაოდ ძლიერი მოჭადრაკეებიც, თვით საერთაშორისო და ეროვნული ოსტატები, შედეგები დამაკმაყოფილებლად მიმაჩნია.

**⊙ როდესაც მსოფლიო ჩემპიონი გახდით, მიხეილ ბოტვინიკმა განაცხადა: კასპაროვს ჯერ ნამდვილი სიძლიერისთვის არ მიუღწევია, ეს 5-6 წლის შემდეგ არის მოსალოდნელიო...**

— მსოფლიოს ექს-ჩემპიონს ეტყობა, იმის თქმა სურდა, რომ მე მაქვს გამოუყენებელი რეზერვებიც. მე თვითონ ვგრძნობ ამას, იმასაც ვხედავ, რაზე უნდა ვიმუშავო. მატჩ-რევანში ძნელი იქნება. დარწმუნებული ვარ, რომ კარპოვი ყველაფერს გააკეთებს, რათა მსოფლიო ჩემპიონის წოდება დაიბრუნოს.

**⊙ თქვენ ფეხბურთის თავგამოდებული გულშემატკივარი ბრძანდებით, ალბათ ახლა მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებს ადევნებთ თვალს.**

— რა თქმა უნდა, სიამოვნებით ვუყურებ მატჩებს. ძალიან მომეწონა წინასწარ შეხვედრებში ჩვენი ნაკრების თამაში, აგრეთვე საფრანგეთისა და დანიის გუნდების გამოსვლა.

შეჯიბრება ოსტატობის სკოლაა

# რინგზე არიან ნაკრების კანდიდატები

**საქართველოს** მოკრივეთა ნაკრები გუნდი გულმოდგინედ ემზადება საბჭოთა კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადისთვის. მწვრთნელები სხვადასხვა საკავშირო და საერთაშორისო ტურნირებში ამოწმებენ ნაკრები გუნდის წევრებისა და კანდიდატების მზადყოფნას. ამას ისახავდა მიზნად ქალაქ კოპეისკში გამართული საკავშირო ტურნირიც, რომელიც საბჭოთა კავშირის ორგზის გმირის ს. ხოხრიაკოვის ხსოვნას მიეძღვნა. აქ საკმაოდ ძლიერმა მოკრივეებმა მოიყარეს თავი, მოასპარეზეთა შორის იყვნენ მსოფლიოს ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის ს. ზაბოლოცკი, სსრ კავშირის პირველობების პრიზიორები, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატები რ. ხაკიმოვი, ვ. დოლმატოვი, ფ. იაკოვლევი, ვ. ვასილენკო, ი. მორჩანოვი და სხვები.

საქართველოს ნაკრები ტურნირზე 10 მოკრივით წარდგა. შეჯიბრებაში სულ 200-ზე მეტი მოკრივე მონაწილეობდა, ამიტომ ტურნირის ორგანიზატორებმა მონაწილენი ორ ჯგუფად გაჰყვეს. პირველ ჯგუფში მოხვდნენ ოსტატობის კანდიდატები, მეორე ჯგუფში — სსრ კავშირისა და საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატები. სწორედ მეორე ჯგუფში იბრძოდნენ თბილისელი ვასილ კვანტალიანი (71 კგ წონითი კატეგორია), ქუთაისელი დომენტი დანელია (81 კგ) და გორელი გელა სხირტლაძე (71 კგ).

ამ ჯგუფიდან ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს კვანტალიანმა და დანელიამ, რომლებიც საბოლოოდ II ადგილზე გავიდნენ. სპეციალისტთა და კოპეისკელ კრივის მოყვარულთა მოწონება ხვდა 19 წლის თბილისელ სპორტის ოსტატს ვასილ კვანტალიანს, რომელიც ფინალში საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს 26 წლის ვ. ვასილენკოს შეებრძოლა. თანაბარ პაექრობაში მსაჯებმა გამარჯვება რატომღაც მის მეტოქეს მიაკუთვნეს.

პირველ ჯგუფში მესამე საპრიზო ადგილები დაიკავეს გორელმა ვ. ტატიშვილმა და ფოთელმა რ. ქიქავამ. შეჯიბრებისთვის გუნდი მოამზადეს სპორტის ოსტატებმა ო. ზებულაშვილმა და საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა ვ. ხატიაშვილმა.

**ვლადიმერ ძნელაძე,**
**საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.**

## ინფორმაცია

**ბუდაპეშტი.** უნგრეთის დედაქალაქში დამთავრდა ახალგაზრდა მსროლელთა ევროპის ჩემპიონატი. შეჯიბრების პროცესში ოთხი მსოფლიო რეკორდი გაუმჯობესდა: პისტოლეტით სროლაში (გოგონები) სსრ კავშირის ნაკრებმა 1744 ქულა დააგროვა, მცირეკალიბრიან სტანდარტში 3X20 სარეკორდო შედეგი გდრ-ის გუნდმა აჩვენა — 1731, ამ ქვეყნის გუნდმა ყველას აჯობა შაშხანით წოლელა სროლაშიც — 1768. მეოთხე რეკორდი უნგრელმა ატილა შოლტიმ „გაქცეულ ტახზე“ სროლაში დაამყარა.

**ბრატისლავა.** ადგილობრივი გაზეთის „პრავდას“ პრიზზე გამართულ მძლეოსანთა შეჯიბრებაში რამდენიმე მაღალი შედეგი იქნა ნაჩვენები. იან ზვარამ (ჩეხოსლოვაკია) სიმაღლეზე ხტომა მოიგო — 234 სმ. აქ მეორე შედეგი ფრუნზელ იგორ პაკლინს ჰქონდა — 231 სმ. სამხტომში კიეველმა ალექსანდრე იაკოვლევმა 17 მ. და 26 სმ. დაძლია.

**სიბიუ (რუმინეთი).** დამთავრდა სოციალისტური ქვეყნების „მეგობრობის თასის“ მეოთხე ეტაპი ავტორალიში. პირველი ადგილი საბჭოთა ეკიპაჟმა დაიკავა (ძმები ბოლშიხები). მეორე ადგილზეც საბჭოთა დუეტი გავიდა (ვ. სოოტსი — ტ. პუტმაკერი), მესამეზე — ბულგარელი ავტომობილისტები (ს. ხრისტოვი — ს. რადაევი).

## „სპორტლოტო“

**გუშინწინ** მოსკოვში შედგა „სპორტლოტოს“ მორიგი, 24-ე ტირაჟები.

**„სპორტლოტო 6 45“-დან:** 1 (კალათბურთი), 3 (ბობსლეი), 9 (საგზატკეცილო ველორბოლა), 20 (აფროსნობა), 29 (სასტენდო სროლა), 36 (მხატვრული ტანვარჯიში).

**„სპორტლოტო 5 36“-დან:** 15 (ბაიდარითა და კანოეთი ნიჩბოსნობა), 17 (ციგურაობა), 22 (წყალში ხტომა), 28 (ტყვიის სროლა), 33 (ფეხბურთი).

• • •

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „სპორტლოტოს“ მორიგი, 23-ე ტირაჟებისა, რომლებიც 8 ივნისს გაიმართა.

**„სპორტლოტო 6 45“-დან:** გაიყიდა 665 484 ბარათი.

6 ციფრი ვერავინ გამოიცნო. 5 ციფრის გამოცნობისთვის (59 ბარათი) მოგება 676 მანეთია. 4-სთვის (2131) — 28, სამისთვის (34703) — 3.

**„სპორტლოტო 5-36-დან“:** გაიყიდა 5 317091 ბარათი.

5 ციფრის გამოცნობისთვის (48 ბარათი) მოგება 6769 მანეთია, ოთხისთვის (7312) — 65, სამისთვის (198727) — 4.

მოგებული თანხის განაღდება 23 ივნისიდან 23 ივლისის ჩათვლით.

**რედაქტორის მოადგილე**
**თ. გაჩეჩილაძე.**

## ეკრანზე და ეთერში

**ცენტრალური ტელევიზია. 17 ივნისი.** დილის ტანვარჯიში — **9.00 (2);** მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში: ბრაზილია — პოლონეთი (მეორე ტაიმი) — **9.55 (1);** არგენტინა — ურუგვაი (მეორე ტაიმი) — **10.40 (1);** არგენტინა — ურუგვაი — **18.55 (1);** იტალია — საფრანგეთი — **23.00 (1);** საჭადრაკო სკოლა — **14.45 (2);** რიტმული ტანვარჯიში — **19.20 (2).**

**საქართველოს ტელევიზია. 17 ივნისი.** მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში: ბრაზილია — პოლონეთი — **9.55;** არგენტინა — ურუგვაი — **10.40;** არგენტინა — ურუგვაი — **18.55;** იტალია — საფრანგეთი — **23.00.**



ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი

**22 ივნისი ⊙ ფეხბურთი**

**სსრ კავშირის ჩემპიონატი**

**„დინამო“ (თბილისი) — „ჩერნომორეცი“ (ოდესა)**

დასაწყისი 20 საათზე

მატჩზე დასასწრები ფეხბურთისა და ლატარიის ბილეთები ორგანიზაციებში გაიყიდება 18 და 19 ივნისს, ხოლო სტადიონის სალაროებში — 18 ივნისიდან (შეფარდებით ერთი ერთზე).

აბონემენტების მფლობელებს ლატარიის ბილეთების შეძენა შეუძლიათ 22 ივნისის 12 საათამდე № 7 სალაროში.

სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატების, სამამულო ომის მონაწილეთათვის იმუშავებს № 6 სალარო. სალაროები ღიაა 9-დან 19 საათამდე (შესვენება **14-15** საათებში).

**ამ გუნდების სათადარიგო შემადგენლობათა მატჩი გაიმართება 21 ივნისს „დინამოს“ სტადიონზე. დასაწყისი 19 საათზე. უამინდობის შემთხვევაში დუბლიორთა მატჩი შედგება „ლოკომოტივის“ სტადიონზე.**

# „ვარსკვლავთა“ მატჩი

**გაიმართა** ტრადიციული საჩვენებელი მატჩი კალათბურთის ეროვნული ასოციაციის აღმოსავლეთის და დასავლეთის დივიზიონის გუნდებს შორის. (ეს შეხვედრები 1951 წლიდან ეწყობა). შეხვედრამ, რომელიც ამჯერად ტეხასის შტატის ქალაქ დალასში ჩატარდა, ბუნებრივია, დიდი ინტერესი გამოიწვია — მას 16.573 მაყურებელი დაესწრო. საინტერესო ასპარეზობამ გამარჯვება აღმოსავლეთის ვარსკვლავთა ნაკრებს მოუტანა — 139:132 (34:36, 35:30, 31:36, 39:30). როგორც უცხოური პრესა აღნიშნავს, მატჩის ნამდვილი გმირი იყო „დეტროიტ პისტონსის“ მცველი ისაას ტომასი (180 სმ). მან თავის გუნდს 30 ქულა შესძინა.

გუნდები მოედანზე ასეთი შემადგენლობით გამოვიდნენ: **აღმოსავლეთი:** ირვინგი (8 ქულა), ბერდი (23), მოუზეს მელონი (16), მონკრიფი (16), თომასი (30), უილიამსი (13), ჯეფ მელონი (6), მაკმელი (8), შექსი (6), პარიში (11), უილკისნი (13), — მწვრთნელი: ჯონსი. **დასავლეთი:** უერზი (20), სემპსონი (16), ჯაბარი (21), რობერტსონი (4), მეჯიკ ჯონსონი (6), ფარლ ჯონსონი (6), ბლეკმენი (12), გილმორი (10), ინგლიში (16), დენტლი (8), დრეხსლერი (10), აკიმი (3) — მწვრთნელი რილეი.

**მასალა მოამზადა**
**მერაბ კალანდაძემ.**

**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ., 14
დეპეშებისთვის—თბილისი, „ლელო“

**რედაქციის ტელეფონები:**
სამდივნო — 93-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53
წერილების განყოფილება — 93-97-55
„მართვე“ — 93-97-27, „მერანი“ — 93-97-26

**ჩვენი ინდექსი:** 66485

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ., 14. იბეჭდება ოფსეტური წესით სავაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 უე 07502